საბჭოს ერთობლივი მოქმედება **2008/796/CFSP, 2008 წლის 13 ოქტომბერი სამხრეთ კავკასიაში ევროპის კავშირის სპეციალური წარმომადგენლის მანდატის შესწორების შესახებ**

ევროპის კავშირის საბჭო, ითვალისწინებს ევროპის კავშირის ხელშეკრულებას, განსაკუთრებით მის მე-14, მე-18 (5) და 23 (2)-ე მუხლებს;

ვინაიდან:

(1) 2008 წლის 18 თებერვალს საბჭომ მიიღო ერთობლივი მოქმედება 2008/132/CFSP, რომლითაც შესწორდა და გაფართოვდა სამხრეთ კავკასიაში ევროპის კავშირის სპეციალური წარმომადგენლის მანდატი;

(2) 2008 წლის 15 სექტემბერს, საბჭომ მიიღო ერთობლივი მოქმედება 2008/736/CFSP საქართველოში ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის შესახებ;

(3) 2008 წლის 25 სექემბერს საბჭომ მიიღო ერთობლივი მოქმედება 2008/760/ßFSP საქართველოში ევროპის კავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ,

მიიღო ეს ერთობლივი მოქმედება:

მუხლი 1

ერთობლივი მოქმედება 2008/132/CFSP შესწორდეს შემდეგნაირად:

1. მე-3 მუხლს დაემატოს ახალი პუნქტი:

‘(დ) უზრუნველყოფს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელს სახელმძღვანელო მითითებებით ადგილობრივი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ;’.

2. მუხლი 12 შეიცვალოს შემდეგით:

მუხლი 12

კოორდინაცია

1. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ხელს უწყობს ევროკავშირის საერთო პოლიტიკურ კოორდინაციას. იგი უზრუნველყოფს ევროკავშირის ინსტრუმენტების შეკავშირებულ ჩართულობას ევროკავშირის ამოცანების მიღწევის მიზნით. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობა კოორდინირებულია თავმჯდომარესთან და კომისიასთან, ასევე რეგიონში ევროკავშირის სხვა სპეციალურ წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან, ამ უკანასკნელის მანდატით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანების პატივისცემის უზრუნველყოფით. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი წევრი სახელმწიფოების მისიებსა და კომისიის დელეგაციებს რეგულარულად აწვდის ინფორმაციას.

2. დამყარდება მჭიდრო კავშირი თავმჯდომარესთან, კომისიასთან და წევრი სახელმწიფოების მისიების ხელმძღვანელებთან. ისინი ყველა ძალას იხმარენ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისთვის მისი მანდატის განხორციელებაში დასახმარებლად. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელს უზრუნველყოფს რეკომენდაციებით ადგილობრივი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი და სამოქალაქო ოპერაციათა მეთაური ერთმანეთთან ატარებენ კონსულტაციას საჭიროების შემთხვევაში. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ასევე კავშირებს ამყარებს ადგილზე მოქმედ სხვა საერთაშორისო და რეგიონულ სუბიექტებთან’.

მუხლი 2

ძალაში შესვლა

ეს ერთობლივი მოქმედება ძალაში შედის მიღებისთანავე.

მუხლი 3

გამოქვეყნება

ეს ერთობლივი მოქმედება გამოქვეყნდეს ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

მიღებულია ბრიუსელში, **2008 წლის 13 ოტომბერს**

საბჭოს სახელით

თავმჯდომარე **ვ. კუშნერი**

(http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/LexUriServ_en.pdf/საკუთარი თარგმანი)